

ტესტის სახელწოდება

ნატრიუმი (Na) და კალიუმი (K) შარდში

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ნატრიუმი და კალიუმი ელექტროლიტებია, რომლებიც აუცილებელია უჯრედების მეტაბოლიზმისთვის, გულის ნორმალურად მუშაობისთვის, ნერვული სიგნალის გატარებისა და კუნთების შეკუმშვისთვის. ისინი ასევე მონაწილეობენ ორგანიზმში სითხის რაოდენობის რეგულირებასა და მჟავა-ტუტოვანი წონასწორობის შენარჩუნებაში. ადამიანი მათ საკვების სახით იღებს. ორგანიზმი ნატრიუმისა და კალიუმის მისთვის საჭირო რაოდენობას ითვისებს, ჭარბი რაოდენობა კი თირკმელების მეშვეობით შარდთან ერთად გამოიყოფა.

მოცემული ტესტი შარდში ნატრიუმისა და კალიუმის კონცენტრაციას განსაზღვრავს.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ეს ანალიზი ექიმს ელექტროლიტური დისბალანსის გამომწვევი მიზეზის დაზუსტებაში ეხმარება და ძირითადად მაშინ ინიშნება, როდესაც სისხლში კალიუმის და ნატრიუმის დონე ნორმიდან გადახრას აჩვენებს. იგი ასევე შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს თირკმლის ფუნქციის დარღვევა ან თირკმელზედა ჯირკვლის პათოლოგია აღენიშნება, ან როდესაც პაციენტი შარდმდენებს იღებს.

შარდში ნატრიუმისა და კალიუმის ტესტი ხშირად სხვა ელექტროლიტებთან და თირკმლის ფუნქციური პანელის ანალიზებთან ერთად ინიშნება.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

მოცემული ტესტისთვის საჭიროა შარდის ნიმუშის შეგროვება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ჩვეულებრივ, სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს. თუმცა ზოგიერთმა მედიკამენტმა (მაგ. კორტიკოსტეროიდებმა, შარდმდენებმა და ა.შ.) შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ ანალიზის გაკეთებამდე საჭიროა ექიმთან კონსულტაცია და ტესტისთვის მოსამზადებლად მისგან შესაბამისი ინსტრუქციების მიღება.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს.

შარდში კალიუმისა და ნატრიუმის განსაზღვრისას, აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მათი კონცენტრაცია სისხლში. ექიმისთვის ინფორმატიულია იმის

ცოდნა, კალიუმის ან ნატრიუმის დონე მხოლოდ სისხლშია შეცვლილი, მხოლოდ შარდში, თუ სისხლში და შარდში ერთდროულად.

მაგალითად, თუ ადამიანი არასაკმარისი რაოდენობით იღებს კალიუმს, როგორც სისხლში, ასევე შარდში მისი დონე დაბალი იქნება. მეორე მხრივ, თუ ორგანიზმი გაძლიერებულად კარგავს კალიუმს, მაშინ სისხლში მისი დონე დაბალი შეიძლება იყოს, შარდში კი მაღალი. თუ რაიმე მიზეზით სისხლში კალიუმის დონე მომატებულია, ჩვეულებრივ, შარდშიც იმატებს მისი კონცენტრაცია.

ნატრიუმის კონცენტრაციაც სისხლსა და შარდში მსგავსი მიზეზების გამო შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან.

შარდში ნატრიუმის დონის დაქვეითება შეიძლება მიუთითებდეს დეჰიდრატაციაზე, გულის შეგუბებით უკმარისობაზე, ციროზზე, ნეფროზულ სინდრომზე.

შარდში ნატრიუმის დონის მომატება დაკავშირებული შეიძლება იყოს შარდმდენების მიღებასთან, ადისონის დაავადებასთან, სუფრის მარილის ჭარბი რაოდენობით მიღებასთან და ა.შ.

შარდში კალიუმის დონის დაქვეითება შეიძლება გამოიწვიოს: არასტეროიდულმა ანთების საწინააღმდეგო საშუალებებმა, ბეტა-ადრენობლოკერებმა, ლითიუმმა, ასევე თირკმელზედა ჯირკვლების მიერ ალდოსტერონის წარმოქმნის შემცირებამ.

შარდში კალიუმის დონის მომატების მიზეზი შეიძლება იყოს: თირკმელების დაავადება, ანორექსია, კუნთების დაზიანება.